ბოცვერი

I.

- გამარჯობა, მე ლევანი მქვია, მე ალკოჰოლიკი ვარ.
- გამარჯობა ლევან.
- მე ბევრს ვსვამ. სადრეგრძელოებით და ყანწებით არა, ისე. დედაჩემმა აიტეხა ექიმთან მიდიო, მე სმა არც მაწუხებს, უბრალოდ დედას მაგრა უტყდება მეზობლები რო ჭორაობენ. თორე მე რა, როცა მინდა მაშინ დავანებებ სმას თავს. რამდენი ხართ ტო? 1, 2.. 26... 27. რა პონტია?
- ორი ჯგუფი გავაერთიანე, გააგრძელე შენ. - მაქეზებს ფსიქოლოგია, თუ ვინც არის.
- ჰოდა, მოკლედ.. აუ, სხვებს მოვუსმენ რა.. არ მაქვს მე არანაირი პრობლემა.
ფსიქოლოგს ტელეფონი ურეკავს, სასწრაფო საქმეაო გვებოდიშება და გადის.
- აუ, ძმებო და დებო, მოდი ძმურად (და დურად) ხვალ ჩემთან დავლიოთ. ერთი ამას ვინ ეკითხება? ჩუმად ავიდეთ ჩემთან და მაგრად ჩავთვრეთ.

II.

შეკრების მერე თავს უაზროდ ვგრძნობ, მინდა ყველა უბედური ადამიანი მოკვდეს, ჩემი ჩათვლით. თუმცა მე ხო ისედაც ვკვდები ყოველდღე. არაყში ვიხრჩობი და ალკოჰოლში ჩაყვინთულს ამოყვინთვა არ მინდა, არც არავის დამხმარე ხელი მჭირდება, არც მითუმეტეს ფეხი. დიდი ვინმეა ესჩემის ფსიქოლოგი, გაიკეთებს თავის სათვალეს და იკითხავს რას გრძნობო. რა რთული გამოსაცნობია ზიზღს რომ ვგრძნობ? ხვალ დავითასთან ავალთ, მაგარი ჯიგარი ხალხია ისე. მაგრა დავთვრები, ამ ცხოვრებას ფხიზლად ჩემმა მტერმა უყურა. აუ, რა ბანძობებს ბაზრობ ლევან, დაიძინე რა..

III.

რა მოულოდნელია თბილი საწოლიდან ჩემი წამოგდება, ტრუსებითა და თავზე ტომრით სადღაც გაქანება.

...

- სად არიან? - ოთახში მარტო მე ვარ და ეს ვინ იკითხა?
- ერმიტაჟში არიან გასულები და რა გადავცე? შენ თვითონ სად ხარ და ვინ ხარ ისე, ბარემ ეგეც თქვი.
- სად არის შენი 27 ძმაკაც-დაქალი?
- მაგდენი ადამიანი ტრუსიკში ვერ ჩამეტეოდა.
- ხუმრობ?
- ნიფხვის 27 მეგობარი გყავსო მეუბნები და კიდე მე ვღადაობ?
- სად არიან-მეთქი
- ჰავაიზე - კი კაი გულზე ვარ, მაგრამ ოთახში ორი "ჯიგიტი" რო შემოდის და მუშტებს იტკაცუნებს ეგ ნამდვილად არ მომწონს.
- გაიცანი, ანზორი და თაზო.
- გამარჯობა გვრიტებო, დიდი ხანია ერთად ხართ? - ანზორა ცუდად მიყურებს, თამაზა უბრალოდ ელამია.
- ანზორ, ჰკითხე ლევანს, სად არიან?
- ვინები სად არიან ბატონო უფროსო?
  დინამიკებში ისეთი ხმა ისმის, თითოს ვიღაცამ სიმწრით მოირტყა ხელი შუბლზე.
- ისა, ხო არ გეტკინა ძმაკაც? - აგე, კიდე ერთი ძმაკაციც მყოლია.
- ანზორ, ერთი ჩემთან შემოდი რა, თამაზ, მაგას თვალი არ მოაშორო... რომელიმე...
- მეძახდით ბატონო უფროსო?
- გეძახდი კი არა, შენ... - დინამიკები ითიშება, რამდენიმე წუთში ოთახში აწითლებული ანზორა შემოდის. თავზე მადგება და ვატყობ "ბატონო უფროსოს" ჯავრს ჩემზე იყრის.
- სად არიანო რო გეკითხებიან არ გესმის ბიჭო?!- კეფაში ანზორას უზარმაზარი ხელისგული მხვდება.
- ანზორი, ჩემი ბიჭი ცოტა უფრო ნაზად, ემანდ ეგ ექვსკილოგრამიანი ტორი არ იღრძო
- ვატყობ, რომ კიდევ ერთი ესეთი შემორტყმა და ტვინის შერყევას გავიჩალიჩებ.
- ანზორ, აბა ერთი კიდე ჰკითხე რა.
- ისა, "ბატონო უფროსო", ეხლა თამაზამ მკითხოს რა..

IV.

- ხო არ დაიღალე?
- რითი? არა, მაგარი აურაა, კარგად ვერთ... - თამაზა ერთ მუშტს არ აგაცილებს, ელამი ეძახე შენ. კარგი იქნებოდა დედას ბავშვობაში კრივზე შევეყვანე.
კარი იღება. ოთახში ნოდარა შემოდის, ის, ფსიქოლოგი.

- ნოდო, ვიღაც ანზორა და თამაზა მირტყამს - ისე ვჩივი, თითქოს მე-2 კლასელი ბავშვი ვიყო ამხელა კაცი.
- სად არიან ლევან?
- შენ იყავი დინამიკებში?
- სად არის შენი 27 ჭირისუფალი?
- რას ჩაიხვიე? აზრზე არ ვარ სად არიან, ან რაში გაინტერესებს რო?
- იცი რა უნდა უქნა ყველა უნებისყოფოს? უნდა ჩაკეტო ერთ ოთახში და ყველა ამობუგო. ბავშვობაში დიდი ლუპით ჭიანჭველებს რომ ვბუგავდით აი ისე - არ მჯერა, რომ ამას ფსიქოლოგი ამბობს.
რა მოწიე ბ-ნო ნოდარ? - არც ის მჯერა, რომ ამ წამს ფსიქოლოგმა სილა გამაწნა.
- მაინც ვიპოვი ხო იცი.
- შენ რა, მართლა ხოცვა-ჟლეტას აპირებ?
- რატომაც არა? 27 უნებისყოფოთი ნაკლები დაამძიმებს დედამიწას. შენ რა ბედი გეწევა? შენ შენით იზამ მაგ საქმეს.
  ეს ეჭვი ისედაც მქონდა, თუმცა... თავის მოკვლა რომ მდომებოდა აქამდე ვიზამდი. არა?
- მე არ მოვიკლავ თავს.
- გინდა ვისაუბროთ ამაზე? - ტიპი 27 კაცის დახოცვას აპირებს და კიდე ჩემს ფსიქოთერაპიას ეწევა.
- იცი, ნოდარ, მე მგონი პრობლემები გაქვს.
- სხვათაშორის კი, ცოლი დამშორდა, კოლეგებიც ალმაცერად მიყურებენ, თანაც, გგონია ხალხს ეხმარები და თურმე ესენი შენს ზურგს უკან... მოკლედ, დროზე თქვი სად არიან რა.
  ანზორი შემოდის ოთახში, არცკი მიგრძვნია როგორ გავიდა. არა, ისე როგორ არა, მხარზე უზარმაზარი ხელი აღარ მაწვება თურმე.
- ბატონო უფროსო გავიგეთ სად არიან.
- ძალიან კარგი, მიდი იარაღი შემოიტანე.

V.

ოთახში მე და იარაღი ვართ. ჩემი "ჭირისუფლები" ალბათ ამ დროისთვის უკვე ფერფლად არიან ქცეულები. არადა კაი ტიპი იყო ის დავითა, ალბათ სხვებიც. თავს თუ არ მოვიკლავ, მერე ნოდარა მეც მომხედავს. სულ ვამბობდი ყოველდღე ვესალმები წუთისოფელს მეთქი და დღეს თურმე ნამდვილად ვგულისხმობ. აბა ჰე დედამიწავ, დედა, მეზობლებო და ლადო ბიძია შენც. რა შუაშია აქ ბიძაჩემმი ლადო? ბიძია ლადო, კარგი იქნება ტელევიზორის წინ გინების მაგივრად ადგე და ოდესღაც დაწყებული

ცხოვრება გააგრძელო. მოიშორო ეგ ნევროზია თუ რაცაა და გარეთ გახვიდე. რა უცნაურია შუახნის კაცი, რომელსაც სიცოცხლე არ უნდა. ჰმ. რა სასაცილოა 25 წლის ბიჭი, რომელიც თურმე იგივე გზას ადგას. არადა როგორ მეგონა, რო მე და ლადოს არაფერი გვქონდა საერთო. დედა, შენს თავს ნუ დააბრალებ ამ გიჟებთან რომ გამომიშვი. ანონიმურ ალკოჰოლიკთა წრე. ტფუ!

VI.

- რას აკეთებ?! - ღრიალით შემორბის დავითა - იარაღი საფეთქელთან მაქვს. ეს ცოცხალია, თუ უკვე გამოვკარი სასხლეტს ხელი? რა უმტკივნეულო ყოფილა.
- იცი რა დავით? ეხლა ცოცხალი რო ვიყო, სულ სხვა ტიპი გავხდებოდი - ესეთი ფრაზების არასდროს მჯეროდა, ეხლა თავი ყველაზე ყალბი სული მგონია მთელს დედამიწაზე, თუ სამოთხეში, თუ სადაც ვარ.
- ლევან, არ ვიცი შენ რა მოგაწევინეს, მაგრამ მაგარი ჭაჭა გავაძრეთ და წამო.
- რა ჭაჭა?! რად უნდა სულს და მოჩვენებას ჭაჭა?! ან ადამიანს რაღა ჯანდაბად უნდა?
 დავითა ხელს მკიდებს და სადღაც გავყავარ. რა საჭიროა კარში გასვლა? კედელში ვერ გავალთ თუ რა?

VII.

ოთახში ვართ მე, დავითა, 26 ალკოჰოლიკი და ნოდარა. ამას რაღა უნდა აქ? ისე გარეკა, რო საკუთარი თავიც მიაყოლა?
ნამდვილად არ მეგონა საიქიო ანონიმურ ალკოჰოლიკთა წრე თუ იყო.
- დაჯექი ლევან.
- რა მშვიდია. სიკვდილი ეტყობა ყველას ამშვიდებს. საინტერესოა ვინმე წელში გამართული კუზიანიც თუ გაივლის სადმე, თუ ეგ სამარეა და არა საიქიო? ყველა მე იმიტო მიყურებს, რამე რო ვთქვა?
- გამარჯობა, მე ლევანი მქვია, მე ჯოჯოხეთში მოვხვდი.
- გამარჯობა ლევან, შენ ჯოჯოხეთში არ ხარ, ცოცხალი ხარ შენც და ჩვენც. ეს წარმატებული ექსპერიმენტია.
 გარშემო ვიყურები.
- ამდენ ადამიანზე ატარეთ ცდა? ჩვენ თქვენი საცდელი ბოცვრები კი არ ვართ! ამყევით ალკოჰოლიკებო! - აზრზე მოვდივარ ნელ-ნელა. - რას იღიმით?!

- ლევან,. ესენი ცრუ ცდის პირები არიან. შენ ხარ 28-ე ცდის პირი. ნამდვილი, გამოჯანმრთელებული პიროვნება. ვცადეთ შოკური თერაპია ექსპერიმენტის სახით. ესეთი რაღაცეები არ ხდება. პიონერი ხარ. გილოცავ!

VIII.

მართალია, ვერ გავიგე ჯოჯოხეთი რა არი, მაგრამ სამოთხე ნამდვილად ვიცი დედაჩემის კომპოტის წრუპვა და საკუთარ საწოლში კოტრიალი როა. ტელეფონი რეკავს.
- ლევან, ნოდარი ვარ.
- ...
- რას შვრები? ხომ არ ურტყამ 100-100 გრამობით ჰა? ჰე-ჰე...
- ...
- რაღაც უნდა შემოგთავაზო. არ გინდა ცრუ ცდისპირი გახდე?
წარმოვიდგენ, რომ კიდევ ერთი მოგზაურობს ალკოჰოლურ საიქიოში და ისიც ჩემი მეშვეობით...

...
ფანჯრიდან დედის მწარე გინება ისმის. ეტყობა ჩემი მოსროლილი ტელეფონი ვიღაცას მოხვდა. არადა რომ დამემიზნებინა, ვერ მოვარტყამდი.